



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



წერილის ნომერი: 27-27223461
თარიღი: 12/12/2022

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს ინფორმაციის

თავისუფლების შესახებ დებულების შესრულების თაობაზე

2022 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 28 განცხადება, აქედან 7 განცხადება შემოსულია საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, ხოლო 21 განცხადება შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე.

განცხადებები შემოსულია:

1. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ - 1 განცხადება;
2. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი - 2 განცხადება;
3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - 4 განცხადება;
4. საკრებულოს წევრი - 4 განცხადება;
5. სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო - 1 განცხადება;
6. კავკასიის ღია სივრცე (CAUCASUS OPEN SPACE) - 2 განცხადება;
7. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველო - 1 განცხადება;
8. საქართველოს ამბები - 1 განცხადება;
9. ა(ა)იპ ცხოველთა და გარემოს დაცვის ორგანიზაცია - 1 განცხადება;
10. ა(ა)იპ საქართველოს მედეა-კლუბი - 1 განცხადება;
11. ქალთა ფონდი საქართველოში - 1 განცხადება;

12. მოქალაქეები - 9 განცხადება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული არ არის.

შემოსულ მოთხოვნებზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტიც არ მომხდარა.

შემოსული 28 განცხადებიდან 26 განცხადებაზე გაიცა მოთხოვნილი ინფორმაცია, ხოლო 2 განცხადება დამუშავების პროცესშია. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე 6 გადაწყვეტილება მიღებულია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, ხოლო 20 გადაწყვეტილება საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

განმცხადებლების მიერ მოთხოვნილია:

- საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმები;
- საკრებულოს სხდომების ვიდეოჩანაწერები;
- საკრებულოს კომისიების სხდომის ოქმები, დღის წესრიგები და სამუშაო გეგმები;
- საკრებულოში დარეგისტრირებული სამართლებრივი აქტის პროექტები (ინიციატორის მითითებით);
- საკრებულოს ბიუროს მიერ თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენის შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს მორიგი და რიგგარეშე სხდომების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს ფრაქციების ჩამონათვალის, ფრაქციათა თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობის, მოადგილეებისთვის გამოყოფილი სახელფასო ფონდის და მათთვის სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი სხვა თანხების შესახებ ინფორმაცია;
- მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტის რაოდენობის და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისათვის არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაცია;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომის ოქმები და გაწეული საქმიანობის ამსახველი ანგარიშის ასლები;
- თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულო წევრებზე გაწეული ხარჯების (ხელფასი, დანამატი, ჯილდო, მივლინება, საწვავი) შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის, მათ მომსახურებაზე და საწვავზე დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშების შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების და მათი ყოველთვიური შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია;
- მრჩეველის პოზიციაზე დასაქმებულ პირთა ხელშეკრულებების ასლები;
- საკრებულოში განხორციელებული ბოლო ინვენტარიზაციის თარიღი და შედეგები;
- მოქმედი საშტატო ნუსხის მიხედვით გათვალისწინებული პოზიციების და დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია, დახურული, შიდა და გამარტივებული კონკურსების და მათში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით შემოსული, დაკმაყოფილებული და უპასუხოდ დატოვებული განცხადებების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- დაუცველი ჯგუფების მიერ შემოსული პეტიციის და წინადადების შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი დასაქმებულების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოში სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების შიდა მექანიზმის შესახებ ინფორმაცია;
- საკრებულოში ლობისტური საქმიანობის მიზნით დარეგისტრირებულ პირთა შესახებ ინფორმაცია;
- დასახლებებში ჩატარებული საერთო კრებების რაოდენობა და ოქმები;
- მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ტყის საერთო ფართის შესახებ ინფორმაცია;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენის და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის თაობაზე მიღებული სამართლებრივი აქტი.

2022 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

თენგიზ მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

